

პეტრე მირიანაშვილი

“პეტრე მირიანაშვილი მრავალფეროვანი მოღვაწე იყო, დაუდალავი ენერგიისადა
მზარდი ნებისყოფის პატრონი. უურნალისტი და მკელევარი, ლინგვისტი და
ისტორიკოსი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი და უბრალო
მთარგმნელი, მოელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ენერგიულად იდგა ქართული
ენის დაცვის სადარაჯოზე”

ს. ცაიაშვილი

პეტრე მირიანაშვილი 1860 წლის 4 მარტს (21 ოქტომბერი ძვ.სტ.) ქუთაისში დაიბადა.
1878 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. 1882 წელს სწავლა გააგრძელა
პეტერბურგის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. იმ დროს
პეტერბურგში არსებული მკაცრი რეჟიმისა და სტუდენტების დევნის გამო, ორი წლის
შემდეგ იძულებული გახდა მიეტოვებინა სასწავლებელი და დაბრუნებულიყო
საქართველოში.

1884 წელს პ. მორიანაშვილი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა საფრანგეთში
და შევიდა სორბონის უნივერსიტეტში, რომელიც ხელმოკლეობის გამო ვერ დაამთავრა
და 1886 წელს კვლავ დაბრუნდა საქართველოში. იგი 1886 წლიდან 1900 წლამდე
მუშაობდა ქუთაისში, ჭიათურაში, განჯაში და ხარკოვში.

1900 წლიდან საბოლოოდ დამკვიდრდა თბილისში და 1902 წლამდე მოღვაწეობდა
სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ითვლებოდა თითქმის ყველა გაზეთის
თანამშრომლად. პეტლიკაციებს აქტიურად აქვეყნებდა ფსევდონიმებით “კლდია”, “პ.პ”,
“მოგზაური”, “ნაცნობი” და სხვა. მისი სტატიები იბეჭდებოდა ასევე რუსულ და
ფრანგულ პრესსაში. პარალელურად 1902 წლიდან 1933 წლამდე კი საშუალო
სასწავლებლებში ქართულისა და ფრანგული ენების მასწავლებლად მუშაობდა.

პ. მირიანაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ჯერ კიდევ მოწაფეობის
პერიოდში. 1880 წლიდან იგი სისტემატურად აქვეყნებდა წერილებსა და ნარკვევებს
საქართველოს ისტორიის, ენისა და ლიტერატურის შესახებ. მისი გამოქვეყნებული
შრომებიდან აღსანიშნავია “ძველი და ახალი ქართული შაირობა სადა ამბად”,
“ქართული ლიტერატურის ნარკვევები” და სხვა. დაწერილი აქვს ქართული ზღაპრები –
“თეთრა და ყორანა” და “უკვდავება სიტურფისა”. აღსანიშნავია მისი ლიბრეტოები – ზ.
ფალიაშვილის უკვდავი ოპერის “აბესალომ და ეთერი”, “ქალის ცბიერება” (ტექსტი
აღებულია ერეკლე მეორის ცხოვრებიდან, რომლის ოპერაც უნდა შეექმნა ა.
მაისურაძეს, მაგრამ სამწუხაროდ ამ უკანასკნელმა მხოლოდ რამდენიმე ადგილი
დაწერა, რადგან დასრულება ვერ მოასწრო რადგან გარდაიცვალა, პოემა

“ვეფხისტყაოსანის”, რომლის ოპერაც უნდა დაეწერა კომპოზიტორ ა. ყარაშვილს, თუმცა მრავალი ხელისშემშლელ პირობათა გამო მან ვერ შესძლო დასრულება, რის შემდეგაც ოპერა კომპოზიტორ ლევან ფალიაშვილმა დაწერა. ნაწყვეტები ამ ოპერიდან ივანე ფალიაშვილის დირიჟორობით პირველად დაიდგა 1925 წელს თბილისის კონსერვატორიაში. ალექსი ფარცხალაძის მიერ დაწერილი ოპერა “მაიას” ლიბრეტოს ავტორიც პ. მირიანაშვილია, რომელიც სამწუხაროდ დღემდე სცენაზე არ შესრულებულა და იგი ფართო საზოგადოებისთვის ჯერაც უცნობია.

რამდენიმე უცხო ენის მცოდნე პ. მირიანაშვილმა თარგმნა ოპერის ლიბრეტოები: კომპოზიტორ რუბენშტეინის ოპერა “დემონი”, რომელიც დაიდგა პეტერბურგსა და თბილისში და “მარგალიტის მაძიებელნი”. ამას გარდა თარგმნა გოვთეს “ფაუსტი”, ევრიპიდეს “მედეა”, პომეროსის “ილიადა და ოდისეა”, სოფოკლეს “ოიდიპოს მეფი”, გირგილიუსის “ენეიდა”, ფენელონის “ტელე-მაკიანი”, ინდური პოემა “სიყვაულის პიმინი” და ებრაული პოემა “ქებათა ქება”.

პ. მირიანაშვილის მრავალი სხვადასხვა თარგმანებიდან აღსანიშნავია “ყურანი”, რომელსაც იმ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ მაჭადიანთათვის (აჭარელთა, ლაზთა და ფერეიდანელთა).

იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქართული ფილარმონიული საზოგადოების დაარსებაში და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში.

პ. მირიანაშვილის დამსახურებაა სწორედ ის ფაქტი, რომ დიდი ხნის ძიების შემდეგ სწორედ მან მიაგნო განჯაში მწერალ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დახმარებით გადმოასვენა თბილისში.

პ. მირიანაშვილი გადრაიცვალა 1940 წლის 15 აგვისტოს თბილისში. დაკრძალულია ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

**პეტრე მირიანაშვილის პირადი საარქივო ფონდი
ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა**

ცნობა

1. მთავარი სახელოვნო კომიტეტის მიერ გაცემული ცნობა, პ. მირიანაშვილის პონორარის შესახებ.

1923 წ. 19 ივნისი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

მიმართვები

2. სახალხო განათლების კომისარიატის მიმართვა აკადემიური თეატრის მმართველობისადმი, პ. მირიანაშვილის განცხადება დაცმაყოფილებასთან დაკავშირებით.

1923 წ. 8 ივნისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

3. სახალხო განათლების კომისარიატის მიმართვა ალ. წუწუნავასადმი, პ. მირიანაშვილის განცხადების გაგზავნასთან დაკავშირებით.

1923 წ. 18 ივნისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

4. მთავარი სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მიმართვა აკადემიური თეატრების მთავარ რეჟისორ პ. მარჯანიშვილისადმი, ოპერა “აბესალომ და ეთერის” დასადგმელად, პ. მირიანაშვილის განცხადების შესახებ.

1923 წ. 28 სექტემბერი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

განცხადება

5. პ. მირიანაშვილის განცხადება განათლების სახალხო კომისარიატისადმი, პ. სარაჯიშვილისა და ალ. წუწუნავას ბენეფისის მოწყობისთვის, კუთვნილი პონორარის აღებასთან დაკავშირებით.

1923 წ. 15 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

მოხსენებითი ბარათები

6. ალ. წუწუნავას საპრეზიდენტიო მოხსენებითი ბარათი განათლების სახალხო კომისარიატისადმი, ოპერა “აბესალომ და ეთერის” საავტორო და სარეჟისორო პონორარის მიღებასთან დაკავშირებით.

პირი: პ. მირიანაშვილი, ვ. სარაჯიშვილი, ზ. ფალიაშვილი.

1923 წ. 18 ივნისი. ნაბეჭდი. 2 გვ.

7. პ. მირიანაშვილისა და ალ. წუწუნავას საპრეზიდენტიო მოხსენებითი ბარათები განათლების სახალხო კომისარიატისადმი, ოპერა “აბესალომ და ეთერის” საავტორო და სარეჟისორო პონორარის მიღებასთან დაკავშირებით. (ალ. წუწუნავას და პ. მირიანაშვილის ერთობლივი მოხსენებითი ბარათები)

1923 წ. ავტოგრაფი. შავი მელანი. ფანქარი. 4 გვ.

სტენოგრაფიული ანგარიში

8. პ. მირიანაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს სტენოგრაფიული ანგარიში.

საღამოს თავმჯდომარე – მიხეილ მრევლიშვილი; მომხსენებლები: ალ. ბარნოვი, აკ. ფალავა, ნ. კეცხოველი, ლ. ფალიაშვილი, ს. მთვარაძე.

პირი: კოტე რატიშვილი, ალექსანდრე ჭილაძე, შალვა კაშმაძე, ვანო სარაჯიშვილი, დავიტ კასრაძე, იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი, ნინო ორბელიანი, გიორგი წერეთელი, ს. ცაიშვილი, სერგო მესხი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, დ. ჩუბინაშვილი, ი. ოქრომჭედლიშვილი, ნ. ცხვედაძე, ზ. ფალიაშვილი, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი (დირიჟორი), ზაქარია ჩხილაძე, ალ. მაისურაძე, ლადო აღნიაშვილი, თინა და შალვა მირიანაშვილები (პ. მირიანაშვილის შვილები), ლუარსაბ ბოცვაძე, პეტრე სურგულაძე, ა. ყარაშვილი, რატიშვილი, ჩხილაძე, შალვა ასლანიშვილი, ამილახვარი, ფხაკაძე, ამირეჯიბი, გედეგანიშვილი, დ. არლაძე, ია კარგარეთელი, ვალერიან გუნია, კ. დოდაშვილი, დ. ნახუცრიშვილი, სეიოთ იაშვილი, სილიბისტრო ფურცელაძე, თ. სახოკია, პელაგია მამინაშვილი, ერეკლე ტატიშვილი, აპოლონ სამსონია, ალექსანდრე ნამორაძე, გიორგი ეგნატაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ცინცაძე, დავიტ პარკაძე, შოლომონ გულისაშვილი, მინდორაშვილი, მიხეილ მრევლიშვილი, ლადო დონაძე, ბერიკაშვილი, ვახტანგ ნეიმანი, ანდრიაშვული.

1961 წ. 12 აპრილი. ნაბეჭდი. აკინძული წიგნის სახით. 41 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

9. პოემა “გეფხისტყაოსანი” პ. მირიანაშვილის ინსცენირებით.

უთარიდო. ავტოგრაფი. შავი მელანი. აკინძული წიგნის სახით. 55 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა

10. პ. მირიანაშვილის წერილი ალ. წუწუნავასადმი, ოპერა “მაიას” (ლიბრეტო – პ. მირიანაშვილის, მუსიკა – ალ. ფარცხალაძეს) რეპერტუარში ჩასმასთან დაკავშირებით. ახსენებია ოპერა “ქეთო და კოტე”.

პირი: ივანე და შაქრო ფალიაშვილები.

1922 წ. 18 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

მოსაწვევი ბარათი

11. პ. მირიანაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამოს მოსაწვევი
ბარათი.

1961 წ. 24 აპრილი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

არქივი დაამუშავა თამარ მაისურაძემ (2019 წ.)